

პრესრელიზი

სააგენტო „BUSINESS MEDIA“ ზურაბ გელენიძე: „ელექტროენერჯისა და გაზზე სამომხმარებლო ტარიფის გადახედვა გარდაუვალია“

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ ფინანსური დირექტორი ზურაბ გელენიძე „თიბისი

„ელექტროენერჯისა და გაზზე სამომხმარებლო ტარიფის გადახედვა გარდაუვალია“



კაპიტალის“ კვლევის „ელექტროენერჯის სექტორი 2019“ პრეზენტაციას დაესწრო, სადაც ენერგეტიკულ სექტორში არსებულ მდგომარეობასა და ლარის გაუფასურების ფონზე სამომავლო მოლოდინებსა და გარდაუვალ პროგნოზებზე ისაუბრა.

„დევალვაციის პირობებში ელექტროენერჯისა და გაზზე სამომხმარებლო ტარიფის გადახედვა გარდაუვალია“, - ამის შესახებ საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის ფინანსურმა დირექტორმა ზურაბ გელენიძემ „თიბისი კაპიტალის“ კვლევის „ელექტროენერჯის

სექტორი 2019“ პრეზენტაციაზე განაცხადა.

მისი თქმით, თავისუფალ ბაზარზე ინტეგრაციის პირობებში ქვეყანას მოუწევს თურქეთთან, სომხეთთან და სხვა მეზობელ ქვეყნებთან თავისუფალ ცურვაში ყოფნა და ფასების თავისუფალი გადადინება, რაც საერთო გათანაბრებას გამოიწვევს.



პრესრელიზი

„გვესმოდა განცხადებები, რომ ელექტრომატარებლებზე და ელექტროენერჯიაზე ფასები უნდა გაიზარდოს, რომ ყველაფერი იმაზე იაფი იქნება, ვიდრე ეს ჩვენ ბიზნესმენებს, ეკონომისტებს, ფინანსისტებს გვესმის.

მარტივი ციფრები, 5 გიგავატის დადგმული სიმძლავრის მშენებლობა არის გამოცხადებული ქვეყანაში ანუ ქვეყანაში დაპროექტებულია 5 გიგავატის მშენებლობა, საიდანაც უდიდესი ნაწილი არის შეფასების ეტაპზე, რამდენიმე მათგანი არის იმპლემენტაციის ეტაპზე.

როგორ წარმოგიდგენიათ სად ვიქნებოდით ჩვენ, რომ უმეტესობა მათგანი იყოს დასრულების ეტაპზე, რა იქნებოდა სამომხმარებლო ფასი? ალბათ კატასტროფას ექნებოდა ხო ადგილი.

ბიზნესი ერთი ერთში მიჰყვება იმ ლოგიკას, რასაც ბაზარი იძლევა მსყიდველობითი მოთხოვნის ფონზე. აქედან გამომდინარე დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ვერ იქნება საინვესტიციო ფონი აქტიური იმ შემთხვევაში, თუ არ არის შესაბამისი მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნა.

ეს არის ნომერ პირველი პრობლემა, მე რასაც დღეს ვხედავ, ფასი და მოლოდინები. როგორ წარმოგიდგენიათ 6-ცენტისანი ყველა ელექტროსადგური ერთბაშად რომ შესულიყო ექსპლუატაციაში, სად იქნებოდა ჩვენი სამომხმარებლო ფასი ან კიდევ უფრო მაღალი სიმძლავრის ელექტროსადგურები, რომელიც არამარტო დაანონსებულია, არამედ ხელმოწერილიც იყო და ზოგიერთი იმპლემენტაციის ეტაპზეცაა.

ახლა მიმდინარე ეტაპზეც პრობლემები გვექნება, იმიტომ, რომ ლარის კურსის გაუფასურების პირობებში გარდაუვალია სამომხმარებლო ტარიფის არგადახედვა. ეს ეხება



პრესრელიზი

როგორც ელექტროენერჯიას, ასევე ეხება გაზს, ვინაიდან იქ წმინდა რეგულაციის თემაა და ორივე ტარიფი გადახედვას მოითხოვს. ლოგიკა არის ძალიან მარტივი.

თავისუფალ ბაზარზე ინტეგრაციის პირობებში ჩვენ მოგვიწევს თურქეთთან, სომხეთთან და სხვა მეზობელ ქვეყნებთან თავისუფალ ცურვაში ყოფნა და ფასების თავისუფალი გადადინება, რაც საერთო გათანაბრებას გამოიწვევს. თურქეთში დღევანდელი 4,5 ცენტი ეს არის სუფთა შოკური ფასი, რომელიც რა თქმა უნდა თავის ნიშნულს დაუბრუნდება და არ იქნება შორს იმ 8,4 ცენტისგან, რომელიც იყო 2012 წელს, ვინაიდან იქ ექსტრაორდინალური მდგომარეობაა და არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. სომხეთში 7,1 ცენტია სამომხმარებლო ფასი, რაც ორი ცენტით მაღალია საქართველოზე.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ყველაფერი წინ არის და ქვეყანაში გარდაუვალია სამომხმარებლო ფასების გადახედვა“, - აცხადებს ზურაბ გელენიძე.

კომპანია “ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯიის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას.

